საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4548/01
06/05/2021

4548-01-2-202105061728

შპს „ნეოგაზს“
მის: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N18
ელ. ფოსტა: info@neogas.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 20 აპრილის N6996 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მუკუზანში ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, გაზგასამართი სადგურის ფუნქციონირებისთვის შპს ,,ნეოგაზს“ უკვე მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2019 წელს შეთანხმებული აქვს კანონით დადგენილი ჰაერდაცვითი დოკუმენტაცია. თუმცა განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია თუ რომელი წლიდან ფუნქციონირებს არსებული გაზგასამართი სადგური, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ 4) აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 250 მეტრით. საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 160 მეტრით (ს/კ: 51.07.66.304) შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად (გვ 4), საპროექტო ტერიტორიიდან მდ. ჭერმისხევი დაშორებულია 60 მეტრით. ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდინარე ჭერმისხევის კალაპოტი დაცილებულია არანაკლებ 6 მეტრით. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან გაცნობებთ, რომ „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდინარე ჭერმისხევის წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 20 მეტრს და აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან. შესაბამისად, საჭიროა დაგეგმილი საცავებისადმი მდ. ჭერმისხევის წყალდაცვითი ზოლის გავრცელების დადგენა და წყალდაცვით ზოლში N440 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შერულება. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას რეზერვუარების განთავსების GPS კოორდინატები;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ხმაურის ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის დაგეგმილია სალექარის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის სალექარის ტიპის და პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

სამინისტრო, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე